საჯარო ბიბლიოთეკა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров Грузинской ССР и Грузинского республиканского совета профсоюзов

ოთხშაბათი
18 მაისი
1955 წელი
№ 40 (846)
ფასი 30 კაპ.
გამოცემის მე-11 წელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

სოფლის ფიზკულტურელთა სპარტაკიადა

სახელოვანი კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის იანვრის პლენუმის გადაწყვეტილებამ უდიდესი წვლილი შეიტანა სოფლის მეურნეობის შემდგომ აღმავლობაში. ახალგაზრდების ახალი ლაშქარი წავიდა ყამირი და ნასვენი მიწების ასათვისებლად, სოფლისაკენ უწყვეტ რიგებად დაიძრა ტექნიკის უკანასკნელი სიტყვის მანქანა-იარაღები. პარტია და მთავრობა ყველაფერს აკეთებს იმისათვის, რათა დღითიდღე იზრდებოდეს საკოლმეურნეო დოვლათი, ერთი-ორად ამაღლდეს სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობა. ხალისიანი, ნაყოფიერი შრომის ფერხული, რომელშიც აქტიურად არიან ჩაბმული ჩვენი თვალუწვდენი სამშობლოს კოლმეურნეები, საბჭოთა მეურნეობებისა და მტს-ბის მუშაკები, კიდევ უფრო უნდა გაჩაღდეს.

მიმდინარე წელს განსაკუთრებული მუშაობის ჩატარება მოგვიხდება სოფლის ძირეულ ფიზკულტურული კოლექტივების ორგანიზაციული განმტკიცებისათვის. ჩვენი გაზეთის გასულ ნომერში გამოქვეყნდა საქართველოს სსრ სოფლის ფიზკულტურელთა 1955 წლის სპარტაკიადის დებულება, რომელშიც სრულადაა მოცემული მიმდინარე წლის ამ დიდი ღონისძიების არსი, ჩატარების პირობები და სხვ. რესპუბლიკურ სპარტაკიადიდან შეირჩევა ნაკრები გუნდები, რომლებიც მონაწილეობას მიიღებენ საკავშირო სპარტაკიადაში. როგორც ვხედავთ სოფლის ფიზკულტურელების წინაშე მეტად დიდი და საპასუხისმგებლო ამოცანაა დასახული.

ახლა მთავარია, აქედანვე შევუდგეთ მზადებას. „კოლმეურნისა“ და „უროჟაის“ რესპუბლიკურმა საბჭოებმა მთელი თავიანთი საქმიანობა სპარტაკიადის მაღალი სპორტ-ტექნიკური მაჩვენებლებით დამთავრებისაკენ უნდა წარმართონ. საჭიროა დავრაზმოთ მთელი ჩვენი ძალები. უნდა გვახსოვდეს, რომ მხოლოდ აქტივის დახმარებით, მასზე დაყრდნობით შევძლებთ ნაყოფიერ მოსამზადებელ მუშაობის გაშლას.

ახლა განსაკუთრებით უნდა ვიზრუნოთ ბაზების კეთილმოწყობაზე. თუ ბაზა წესრიგში არ გვაქვს მოყვანილი, ინვენტარი მომარაგებული, რა ფასი აქვს ნაკრები გუნდების ჩამოყალიბებას? ეს ანბანური ჭეშმარიტება ყველასათვის ცნობილია. მაგრამ გვხვდება მოედნების გადახვნის, გაპარტახებისა და არადანიშნულებისამებრ გამოყენების მრავალი აღმაშფოთებელი ფაქტიც. საჭიროა ერთხელ და სამუდამოდ აღვკვეთოთ სპორტული ბაზების შენარჩუნებისა და კეთილმოწყობისადმი ზერელე დამოკიდებულება. სპორტული ბაზა მარტო ფიზკულტურელთა საკუთრებას კი არ წარმოადგენს, იგი საერთოა და მის შემდგომ გაფართოებასა და გალამაზებაზე უნდა ზრუნავდეს ყველა ორგანიზაცია და მოქალაქე.

უნდა გვახსოვდეს, რომ რაიონებში მწვავედ განვიცდით კვალიფიციური მწვრთნელების სიმცირეს, რაც დიდად შეგვიშლის ხელს სპარტაკიადისათვის მზადებაში. რაიონებში მცხოვრები შესანიშნავი სპორტული მონაცემების მქონე ახალგაზრდების წვრთნა მეთოდურად სწორად უნდა წარვმართოთ. ამიტომ მოწინავე მწვრთნელებმა უნდა იკისრონ შეფობა ცალკეულ რაიონებზე, დაეხმარონ მათ გუნდების წევრების შერჩევასა და დაკომპლექტებაში, ძირეულ ფიზკულტურულ კოლექტივებში ჩაატარონ საჩვენებელი მეცადინეობები, საუბრები, დაეხმარონ შეჯიბრებათა ორგანიზაციაში. კარგი საქმის გაკეთება შეუძლიათ სპორტულ საზოგადოებათა ბრიგადებს. სპარტაკიადისათვის მზადებაში თავისი წვლილი უნდა შეიტანონ ფიზკულტურისა და სპორტის რესპუბლიკური კომიტეტის საზოგადოებრივმა სექციებმაც.

სპარტაკიადამ უნდა შეაჯამოს ჩვენი მუშაობა სოფლად. ერთი-ორად, ერთი-სამად უნდა გავზარდოთ სპორტულ სექციებში მომეცადინეთა რიცხვი, ავამაღლოთ მათი სპორტ-ტექნიკური მაჩვენებლები. სპარტაკიადამ უნდა გამოავლინოს ახალი თანრიგოსნები, რომლებიც წარმატებით დაიცავენ რესპუბლიკის სპორტულ სახელს საკავშირო სპარტაკიადაზე.

სოფლის ფიზკულტურელთა 1955 წლის სპარტაკიადის მაღალ დონეზე ჩატარება მარტო „კოლმეურნისა“ და „უროჟაის“ საქმე როდია, ეს საერთო საქმეა, მასში რესპუბლიკის ყველა ფიზკულტურულ-სპორტულმა ორგანიზაციამ უნდა შეიტანოს საკუთარი წვლილი. ყველაფერი უნდა გავაკეთოთ იმისათვის, რათა ჯეროვან სიმაღლეზე ავიყვანოთ ფიზკულტურულ-სპორტული მუშაობა სოფლად.

მეგობრობის მატჩი

რიგა. (ჩვენი სპეც. კორ.). დამთავრდა საქართველოსა და ლატვიის მძლეოსანთა ნაკრები გუნდების ტრადიციული მატჩი.

პირველ დღეს გამართული 13 სახეობიდან ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენლებმა (ლ. სანაძემ — ვაჟთა შორის 100 და 200 მეტრზე რბენაში, პ. კუდრიავცევმა — 800 მეტრზე რბენაში და ს. ქავთარაძემ — სიგრძეზე ხტომაში) მოიპოვეს ოთხი პირველი ადგილი.

შეჯიბრების მეორე დღეს მნიშვნელოვან წარმატებას მიაღწია სპორტის დამსახურებულმა ოსტატმა ნ. დუმბაძემ, რომელმაც ბადრო ტყორცნა 52,76 მეტრზე. ვაჟთა თარჯრბენში 110 მეტრზე გაიმარჯვა მ. ტულუშმა (15,2 წამი). 80 მეტრზე თარჯრბენში მ. ქოჩლაძემ აჩვენა საუკეთესო შედეგი — 11,9 წმ. ვაჟთა ამანათრბენი 4×100 მეტრზე დამთავრდა ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენლების (ლ. ინთაძე, მ. გვეშიძე, ლ. სანაძე, რ. ტრაპაიძე), გამარჯვებით. საქართველოს გუნდი ქალთა ამანათრბენში წესის დარღვევისათვის შეჯიბრებიდან მოიხსნა.

გამორბენითა და ჭოკით სიმაღლეზე ხტომებში გამარჯვებული გამოვიდნენ საქართველოს გუნდის წარმომადგენლები რ. შავლაყაძე (დაძლია 185 სმ) და ი. შუქუროვი (ჭოკით გადალახა 380 სანტიმეტრის სიმაღლე).

მძლეოსნობის დანარჩენ სახეობაში გამარჯვება მოიპოვეს ლატვიელებმა, რომლებმაც მოაგროვეს 176 ქულა და პირველი ადგილი დაიკავეს. საქართველოს გუნდმა მოაგროვა 136,5 ქულა.

სტუმრები ერევნიდან

დედაქალაქიდან მსუბუქი მანქანების რიგმა გეზი რუსთავისაკენ აიღო. მგზავრთა მომღიმარი სახეები მოსალოდნელ სასიამოვნო განცდებზე მეტყველებდნენ. კოლონამ უკან დატოვა მეტალურგთა ქალაქი. რამდენიმე კილომეტრის გავლის შემდეგ მინდორიც გამოჩნდა.

— აქ დაველოდოთ, — უთხრა თანამგზავრებს საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე ლ. ჩხაიძემ.

მალე სტუმრების — სომხეთის ფიზკულტურის ინსტიტუტის პროფესორ-მასწავლებლებითა და სტუდენტებით სავსე მანქანებიც გამოჩნდა. ურთიერთ მისალმების შემდეგ მეგობრები ერთად გაემგზავრნენ საქართველოს დედაქალაქისაკენ. დელეგაციის წევრთა შორის იყვნენ სპორტის დამსახურებული ოსტატები ა. აზარიანი და გ. შაგინიანი, ოსტატები გ. აკოპიანი, ლ. ზახარიანი და სხვები.

ამ ორი ფიზკულტურის ინსტიტუტის კოლექტივს მეგობრობას შარშან ჩაეყარა საფუძველი. მაშინ თბილისელები ესტუმრნენ ერევნელ მეგობრებს, დაათვალიერეს ბაზები, შეისწავლეს მათი ყოველდღიური ცხოვრება, ზოგი რამ თავიანთი გამოცდილებიდანაც გაუზიარეს. წელს კი აქ, თბილისში მოიწვიეს ისინი.

ინსტიტუტის აუდიტორიებისა და სასწავლო კაბინეტების დათვალიერებაში შეუმჩნევლად გაირბინა რამდენიმე საათმა.

— ახლა კი გთხოვთ ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრში ჩვენთან ერთად დაესწროთ ოპერა „დაისს“, გაეცნოთ ქართულ საოპერო ხელოვნებას. — უთხრეს სტუმრებს და ყველა ოპერის შენობისაკენ გაემართა.

მეორე დღეს „დინამოს“ სტადიონის კალათბურთისა და ფეხბურთის მოედნებზე შედგა ამ ორი კოლექტივის ნაკრები გუნდების ამხანაგური შეხვედრები. შეჯიბრებას დამთავრების შემდეგ სომხეთის სახელმწიფო ფიზკულტურის ინსტიტუტის დირექტორმა ა. ჩარჩოღლიანმა ჩვენი გაზეთის კორესპონდენტთან საუბარში განაცხადა:

— მეორე წელია, რაც ჩვენს მეგობრობას ჩაეყარა საფუძველი. ამ ხნის განმავლობაში, ბევრი რამ ვისწავლეთ საქართველოს სახელმწიფო ფიზკულტურის ინსტიტუტის მუშაობის გამოცდილებიდან. ჩვენი მიზანია, კიდევ უფრო განვამტკიცოთ ეს კავშირი და ხელი შევუწყოთ სპორტის საერთო აღმავლობას ორ მოძმე რესპუბლიკაში.

სტუმრებმა დაათვალიერეს ფიზკულტურის ინსტიტუტის ახალი კორპუსის მშენებლობა ვაკეში, გაეცნენ მის მომავალს, აღფრთოვანებული დარჩნენ მისი ნათელი აუდიტორიებით, სპორტული ბაზების პროექტით, ვაკის ახალი სტადიონით. საღამოს რკინიგზელთა მხატვრული აღზრდის სახლში შედგა საზეიმო შეხვედრა. სტუმრებს მისასალმებელი სიტყვით მიმართა საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის დირექტორის მოადგილემ ლ. ჩხაიძემ, რომელმაც მათ უსურვა შემდგომი წარმატებანი შრომაში, სწავლასა და სპორტში. საპასუხო სიტყვით გამოვიდა სომხეთის ფიზკულტურის ინსტიტუტის დირექტორი ა. ჩარჩოღლიანი. მოეწყო სამახსოვრო ვიმპელების გაცვლა, რის შემდეგ ჩატარდა ამ ორი კოლექტივის ძალებით მხატვრული და სპორტული განყოფილებანი.

სპორტულ ნაწილში დამსწრეებს სხვადასხვა ტანვარჯიშულ იარაღზე თავიანთი ოსტატობა აჩვენეს სპორტის დამსახურებულმა ოსტატებმა მ. ჯუღელმა, ა. აზარიანმა, სპორტის ოსტატებმა: ო. ქორქიამ, ს. ჯაიანმა, გ. აკოპიანმა, ლ. ზახარიანმა, რ. შარაბიძემ, ვ. ასათიანმა, ო. კაკიაშვილმა, ვ. მოკლიაკოვამ და სხვებმა. კარგი იყო პირველთანრიგოსნების გედევანიშვილის, კოლესნიკოვას, ნონიკაშვილის, ვასილიევას და სხვათა გამოსვლები.

დასასრულ საქართველოსა და სომხეთის სტუდენტთა ძალებით გაიმართა კონცერტი.

პირველ ადგილზე

სტუდენტ მოჭადრაკეთა მსოფლიო პირველობის გათამაშების მეათე ტურში საბჭოთა კავშირის გუნდმა დაამარცხა შვეციის ნაკრები — 4:0.

მე-11 ტურში საბჭოთა მოჭადრაკეებმა ტაიმანოვმა, ანტოშინმა, სუეტინმა და ნიკიტინმა დაამარცხეს ისლანდიელი მოჭადრაკეები — 3,5:0,5. მე-12 ტურში საბჭოთა მოჭადრაკეები შეხვდნენ უნგრეთის წარმომადგენლებს და გაიმარჯვეს 2,5:1,5. უკანასკნელ დღეს საბჭოთა კავშირის გუნდმა დაამარცხა ესპანეთი — 4:0.

ამრიგად, სტუდენტთა მსოფლიო პირველობის გათამაშებაში პირველ ადგილზე გამოვიდა საბჭოთა კავშირის გუნდი. მეორე ადგილი წილად ხვდა იუგოსლავიის მოჭადრაკეთა კოლექტივს.

ჩემპიონობა შეინარჩუნეს

რიგაში დამთავრდა საბჭოთა კავშირის პირად-გუნდური პირველობა სამბოში. განსაკუთრებით დაძაბული ბრძოლა გაიმართა შეჯიბრების უკანასკნელ დღეებში. უმჩატეს წონაში პირველ ადგილის ბედს წყვეტდა კაციაშვილი-უსტინოვის შეხვედრა. საქართველოს გუნდის წარმომადგენელმა ბრძოლა აგრესიულად დაიწყო და უკვე მე-17 წამზე გამარჯვებას მიაღწია. ამ მოგებით კაციაშვილმა გაინაღდა პირველი ადგილი და საბჭოთა კავშირის ჩემპიონის საპატიო წოდება.

მჩატე წონაში გამარჯვებულის გამოსავლინებლად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა სიმონიშვილ-ივანოვის შეხვედრას. 15 წუთიანი ბრძოლის შემდეგ ივანოვს მხოლოდ აქტიურობისათვის მიეკუთვნა გამარჯვება. ამრიგად, ივანოვი გახდა ჩემპიონი ამ წონით კატეგორიაში. სამმა სპორტსმენმა სიმონიშვილმა, სკვორცოვმა და დავლიკანოვმა შეჯიბრება თითო წაგებით დაამთავრეს. მათ თანაბარი საჯარიმო ქულათა რაოდენობა ჰქონდათ. იმისათვის, რომ მსაჯთა კოლეგიას გამოემჟღავნებია მეორე, მესამე, მეოთხე ადგილზე გამოსული სპორტსმენები, მოაწყო მათი აწონვა. აქ კი სკვორცოვი თავის მეტოქეებზე რამდენიმე გრამით მსუბუქი აღმოჩნდა და მეორე ადგილი მას მიეკუთვნა. გამოუვალი მდგომარეობა იყო მესამე ადგილის პრეტენდენტთა გარკვევაში, რადგან სიმონიშვილსაც და დავლიკანოვსაც წონა ერთნაირი ჰქონდათ, მსაჯთა კოლეგიამ ორივე სპორტსმენს მესამე ადგილი მიანიჭა. ეს თითქმის პირველი შემთხვევაა ჭიდაობის ისტორიაში.

ო. შინჯიკაშვილი

ლ. კაციაშვილი

ქვემსუბუქ წონაში პირველ ადგილზე გამოვიდა გულიაევი. საქართველოს გუნდის წარმომადგენელს ნინიაშვილს წილად ხვდა მეორე ადგილი.

მაღალი ოსტატობა გამოამჟღავნა მსუბუქი წონის მოჭიდავემ გრატიაშვილმა (საქართველო). მას დამსახურებულად მიენიჭა პირველი ადგილი. საბჭოთა კავშირის მრავალგზის ჩემპიონი ა. ლატიშევი გამოვიდა მეორე ადგილზე. ქვესაშუალო წონის მოჭიდავემ ალიმოვმა სიმონიანის (სომხეთი) სუფთა დამარცხებით გაინაღდა პირველი ადგილი თავის წონით კატეგორიაში. საშუალო წონაში საჯარიმო ქულათა თანაბარი რაოდენობა აღმოაჩნდათ რურაკსა და ვოლოშჩუკს. ჩემპიონობა მიენიჭა ვოლოშჩუკს, რომელსაც სუფთა გამარჯვებათა უფრო მეტი რაოდენობა ჰქონდა. მეორე ადგილზე გამოვიდა რურაკი.

მეტად დაძაბული ბრძოლა იყო პირველობისათვის ქვემძიმე წონის მოჭიდავეთა შორის. ჩემპიონატის ლიდერმა შულცმა დამარცხება განიცადა ბუდიონოვისაგან. ლატვიელმა მერიმ ქულებით დაამარცხა ქარქუსაშვილი და შემდეგ ლიტვინოვი. ჩემპიონის გამოსავლენად ამ წონით კატეგორიაში გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა შულცისა და მერის შეხვედრას. შულცმა მეორე წუთზე ჩაატარა მტკივნეული ილეთი და აიძულა ლატვიელი უარი ეთქვა შეხვედრის გაგრძელებაზე. შულცმა მოიპოვა პირველი ადგილი ქვემძიმე წონის მოჭიდავეთა შორის. მასვე გადაეცა ჯილდო საუკეთესო ტექნიკისათვის.

როგორც მოსალოდნელი იყო მძიმე წონაში ჩვენი ქვეყნის ჩემპიონი გახდა შინჯიკაშვილი. მეორე ადგილზე გამოვიდა ბრატკო.

ამრიგად, საქართველოს გუნდმა შეინარჩუნა გუნდური პირველობა. მეორე ადგილზე ლენინგრადი, მესამეზე — მოსკოვი.

ნ. ტარასოვი,
(ჩვენი სპეც. კორ.).

მთელი ძალები დავრაზმოთ ხალხთა სპარტაკიადის შესახვედრად

იზრდება მომავალი თაობა

◆

შეჯიბრებაში გამარჯვებული ტანმოვარჯიშეები (ქვევიდან მარცხნივ) ნ. ნარეკლიშვილი, გ. გრომოვი, ა. შიროკაია, უ. ბედიაშვილი, (მეორე რიგი) რ. პერტენავა, ე. სიდამონიძე; (ზევით) მ. ხაჩიძე.

ფოტო მ. ზარგარიანისა

◆

ლენინის სახელობის სპორტულ დარბაზში 5 დღეს გრძელდებოდა თბილისის საშუალო სკოლების პირველობა ტანვარჯიშში. შეჯიბრების დებულების თანახმად მონაწილენი დაყოფილი იყვნენ ასაკობრივ ჯგუფებად. გუნდური პირველობა გათამაშდა ქალთა და ვაჟთა კოლექტივებს, აგრეთვე სკოლებსა და რაიონის ნაკრებ გუნდებს შორის გარდამავალ ჯილდოებზე. პირველთანრიგოსან გოგონათა შორის პირველი ადგილი დამსახურებულად მოიპოვა ე. სიდამონიძემ (მე-12 სკოლა). მან 1939-40 წელში დაბადებულთა შორის ქულათა ყველაზე მეტი რაოდენობა დააგროვა. 1937-38 წლებში დაბადებულთა შორის პირველი ადგილი მოიპოვა 69-ე სკოლის მოსწავლემ ა. შიროკაიამ. 1941 წელში და ზევით დაბადებულთა შორის გაიმარჯვა მე-4 სკოლის მოსწავლემ ნ. ნარეკლიშვილმა.

მეორეთანრიგოსან გოგონებში პირველი ადგილები დაიკავეს (ასაკობრივი კატეგორიების იგივე თანმიმდევრობით) ბ. ბურდულაძემ (46-ე სკოლა), ი. ფაფახჩიშვილმა (მე-4 სკოლა) და ც. ვაჩაძემ (68 სკოლა).

მეორეთანრიგოსან ჭაბუკთა შორის უძლიერესები იყვნენ: ვ. პოლუშჩენკო (44-ე სკოლა), გ. ლომიძე (77-ე სკოლა). პირველთანრიგოსან ჭაბუკთა სავალდებულო ვარჯიშების შესრულების შემდეგ წინ იყო გ. ალნიაშვილი. მას 0,2 ქულით ჩამორჩებოდა ი. ამაშუკელი. ნებისმიერი ვარჯიშების შესრულების შემდეგ მერვე იარაღამდე ლიდერთა მდგომარეობა არ შეცვლილა, მაგრამ უკანასკნელ იარაღზე (რგოლებზე) ვარჯიშის შედეგად პირველი ადგილი მოიპოვა უ. ბედიაშვილმა — 109,45 ქულა, მას 0,25 ქულით ჩამორჩა ამავე სკოლის წარმომადგენელი ჯ. ელიზბარაშვილი. გ. ალნიაშვილი (39-ე სკოლა) მესამე ადგილზე აღმოჩნდა.

საინტერესო იყო გოგონათა გამოსვლები ოსტატების პროგრამით. აქ პირველ ადგილზე გამოვიდა მ. ხაჩიძე (45-ე სკოლა). ჭაბუკთა შორის ოსტატების პროგრამაში გამოირჩეოდა 62-ე სკოლის წარმომადგენელი რ. პერტენავა.

გუნდურ პირველობაში გოგონათა შორის პირველი ადგილი დაისაკუთრა 69-ე სკოლამ. ჭაბუკთა შორის — 87-ე სკოლამ. რაიონებს შორის პირველ ადგილზე გამოვიდა კიროვის სახელობის რაიონი.

შეჯიბრებაში მონაწილეობა მიიღო 54 სკოლის 388 ტანმოვარჯიშემ. ამათგან სათანრიგო ნორმატივები შეასრულა 152-მა სპორტსმენმა.

შეჯიბრებამ ზრდასთან ერთად ბევრი ნაკლოვანი მხარეები გამოავლინა. ასე მაგალითად, ძალზე სუსტად იყვნენ გოგონები დაუფლებული გურზებით ვარჯიშს და ბჯენით ხტომებს, სუსტად ჰქონდათ მათ დამუშავებული აგრეთვე აკრობატული ნაერთები თავისუფალ ვარჯიშში. ბევრი არადამაკმაყოფილებლად გამოდიოდა ნაირსიმაღლის ორძელზეც.

ბჯენითი ხტომები სუსტი ადგილი იყო აგრეთვე ჭაბუკთა შორისაც. სუსტად ჰქონდათ დამუშავებული ჭაბუკებს ღერძზე ვარჯიშიც.

საყვედურის ღირსია ზოგიერთი მწვრთნელი, რომელიც ნაკლებ ყურადღებას აქცევს თავისი კოლექტივის გამოსვლებს, ასე მაგალითად, 91-ე სკოლის ტანმოვარჯიშეთა გუნდი „უპატრონოდ" იყო მიტოვებული შეჯიბრებაზე.

გ. ყირმელაშვილი,
სპორტის ოსტატი

წვრთნის ფიზიოლოგიური მექანიზმი

სპორტული წვრთნა წარმოადგენს პედაგოგიურ პროცესს, რომლის დროს სისტემატურ ფიზიკურ ვარჯიშს, ყველა ჰიგიენური მოთხოვნის მკაცრად დაცვით, მივყავართ სპორტული შედეგების ზრდისაკენ.

სპორტული წვრთნა შედგება მოძრაობათა დაუფლების პროცესისა და ადამიანის ორგანიზმის ცალკეულ ორგანოთა და სისტემათა (გული, ფილტვები, ნერვული სისტემა და სხვ.) განვითარებისაგან.

ეს ორი მიზანი ხორციელდება წვრთნის ერთიან პროცესში და ასეთ ორ პროცესად იგი იყოფა მხოლოდ იმიტომ, რომ აუცილებელია გამოკვლევის პროცესის დანაწევრება. საერთოდ კი მოძრაობის სწავლებაში, მამოძრავებელი ჩვევის წარმოქმნაში მონაწილეობს მთელი ორგანიზმი. ამასთან ხდება ორგანიზმის ყველა სისტემის სრულყოფა, გვარდება ურთიერთკავშირი ცალკეულ ორგანოებსა და სისტემებს შორის.

წვრთნის პროცესში აუცილებელია გამოყენებულ იქნას შემდეგი ძირითადი დებულებები: 1. დატვირთვის თანდათანობითი ზრდა; 2. ორგანიზმის მუშაობის მრავალმხრივობა; 3. მაქსიმალურ დატვირთვათა გამოყენება.

მამოძრავებელი ჩვევის სწავლებისა და მის სრულყოფისას დიდი მნიშვნელობა აქვს შემდეგი დიდაქტიკური პრინციპების დაცვას: შეგნებულობა და აქტიურობა, სისტემატურობა, მისაწვდომობა, თვალსაჩინოება და სიმტკიცე.

იწყებს რა სპეციალიზებას სპორტის ამა თუ იმ სახეობაში, ახალგაზრდამ უნდა გაიაროს საერთო ფიზიკური მომზადების ეტაპი. რა ეხმარება ამ ამოცანის შესრულებას? მშთ ნორმატივების ჩაბარებისათვის მზადება და თვით ნორმატივების ჩაბარება წარმოადგენს სპორტში მომეცადინეებში მთელი რიგი საჭირო ღირსებების გამომუშავების შესანიშნავ საშუალებას. ემზადება რა მშთ ნორმატივების ჩაბარებისათვის, სპორტსმენის ორგანიზმი ყოველმხრივ ვითარდება. ასეთი ჰარმონიული განვითარება კი ხელსაყრელ პირობებს ჰქმნის მაღალი სპორტული შედეგების მიღწევისათვის.

მაღალი სპორტული შედეგების მიღწევა იმას ნიშნავს, რომ სრულყოფილად ფლობ გარკვეულ, სპორტის მოცემული სახეობისათვის დამახასიათებელ მოძრაობებს, ე. ი. ფლობ მამოძრავებელ ჩვევას. მამოძრავებელი ჩვევა მეტად რთული პროცესია და მისი წარმოქმნა შედგება სამი ფაზისაგან.

პირველ ფაზაში ძირითად მოძრაობას თან სდევს მთელი რიგი ზედმეტი, არასაჭირო მოძრაობანი, არაა შეთანხმებული მოძრაობა და სუნთქვა. ახალბედის თავის ტვინის ქერქში სჭარბობს აგზნების პროცესი, რაც ფართოდ ვრცელდება ქერქში, მოიცავს არა მარტო მოცემული მოძრაობის შემსრულებელი ძირითადი კუნთოვანი ჯგუფების ცენტრებს, არამედ ისეთებსაც, რომლებსაც კავშირი არა აქვთ მასთან.

მამოძრავებელი ჩვევის წარმოქმნის მეორე ფაზაში, ზედმეტი, არასაჭირო მოძრაობათა სიუხვის ნაცვლად ადგილი აქვს თითქოს და მოძრაობის შებრკოლებას; სპორტსმენი მოძრაობას ვერ ასრულებს ერთბაშად, მთელი მოცულობით. თავის ტვინის ქერქში ამ დროს წარმოებს დიფერენცირების პროცესი, ესე იგი ზედმეტ მოძრაობათა უკუგდება, რომლის დროს სჭარბობს ხან აგზნება, ხან შეკავება.

ბოლოს დგება მესამე ფაზა, როცა ზედმეტი მოძრაობანი ქრებიან, ქრება აგრეთვე მოძრაობის შებრკოლება, მოძრაობა ადვილი, სწრაფი და ზუსტი ხდება. ამ დროს თავის ტვინის ქერქში წარმოიქმნება აგზნებისა და შეკავების პროცესების ზუსტი გამიჯვნა, მათი კონცენტრაცია.

ფიზიკური ვარჯიში ორგანიზმში იწვევს მთელ რიგ დადებით ცვლილებებს, მაგალითად, იზრდება ლეიკოციტების, ერითროციტების, ჰემოგლობინის რაოდენობა და ა. შ. მაგრამ ამასთან ერთად დიდი დატვირთვების დროს მომუშავე კუნთებიდან სისხლში გადადის დაშლის პროდუქტები, რაც ცვლის სისხლის რეაქციას. ქსოვილების უჯრედები, რომლებიც ასეთი სისხლით იკვებებიან, რამდენადმე აუარესებენ თავიანთ მოქმედებას. გაწვრთნილი სპორტსმენების ცენტრალური ნერვული სისტემა უფრო მეტ სიმტკიცეს იჩენს სისხლში შეღწეული დამშლელი პროდუქტებისადმი, ვიდრე გაუწვრთნელთა ცენტრალური ნერვული სისტემა. სწორედ ამიტომ გაწვრთნილი სპორტსმენი უფრო ადვილად იტანს დიდი ფიზიკური დატვირთვების გავლენით ორგანიზმში მომხდარ ცვლილებებს.

წვრთნის გავლენით იზრდება ცენტრალური ნერვული სისტემიდან მომდინარე ნერვული იმპულსებისადმი კუნთების რეაგირების უნარი. კუნთების აგზნებადობის ეს ამაღლება სპორტსმენს შესაძლებლობას აძლევს წვრთნის პროცესში უფრო აქტიურად შეკუმშოს და უფრო სრულად მოადუნოს თავისი კუნთები. წვრთნის შედეგად კუნთებში იქმნება პირობები კუნთოვანი შეკუმშვის ქიმიზმში მონაწილე ნივთიერებათა (ფოსფორის მჟავა, გლიკოგენი, ადენოზინტრიფოსფორმჟავა და სხვ.) უფრო სწრაფი და სრული აღდგენისათვის.

წვრთნის გავლენა თავს იჩენს აგრეთვე კუნთების მღებავი ნივთიერების — მიოგლობინის შემცველობის ზრდაზე. მიოგლობინი თავისი ქიმიური შემადგენლობით მეტად უახლოვდება ჰემოგლობინს და ჟანგბადის შეერთების მხრივ 12 ჯერ უფრო აქტიურია, ვიდრე ჰემოგლობინი. მიოგლობინი არტერიული სისხლისაგან იტაცებს ჟანგბადს, ინარჩუნებს მას და საჭიროების მიხედვით იძლევა კუნთებში ჟანგვითი პროცესებისათვის. გაწვრთნილი ორგანიზმის კუნთებში იზრდება მიოგლობინის რაოდენობა, რაც ქმნის უფრო ხელსაყრელ პირობებს კუნთების მუშაობისათვის.

ბოლოს, წვრთნის გავლენით შესამჩნევად იზრდება ჩონჩხოვანი კუნთების აქტიურობა და მოცულობა, ხდება ზრდა კუნთოვანი ცილის — მიოზინისა, რომელიც არის კუნთის შემკუმშველი ნივთიერება. კუნთებში მიმდინარე ასეთი გარდაქმნების შედეგად, ასრულებს რა ერთსა და იმავე მუშაობას, გაწვრთნილი ორგანიზმი უფრო ეკონომიურად ხარჯავს ჟანგბადს, შაქარსა და სხვა ნივთიერებას, ვიდრე გაუწვრთნელი ორგანიზმი.

გარდა ზემოაღნიშნული ცვლილებებისა, რაც ხდება ცენტრალურ ნერვულ სისტემასა და კუნთებში, ცვლილებებს აქვთ ადგილი აგრეთვე შინაგან ორგანოებსა და ქსოვილებში. მაგალითად, წვრთნის გავლენით იზრდება ღვიძლში შაქრის მარაგის დაგროვების უნარი და დიდდება მასში დაგროვილი ფერმენტების — ქიმიურ გარდაქმნებში მონაწილე ნივთიერებათა აქტივობა.

მნიშვნელოვანი ცვლილებები ხდება გულის კუნთშიც. ეს ცვლილებები უზრუნველყოფენ გულის ნორმალურ მუშაობას ჟანგბადის ნაკლებობის პირობებში, რასაც ადგილი აქვს ჩქაროსნული დატვირთვების დროს, აგრეთვე უზრუნველყოფენ სისხლიან გულისათვის აუცილებელ საკვებ ნივთიერებათა შეუფერხებელ მიღებას იმ დროსაც კი, როცა სისხლში მკვეთრადაა შემცირებული შაქრის რაოდენობა გამძლეობაზე ხანგრძლივი დატვირთვების შესრულების გამო.

წვრთნის გავლენით სისხლში იზრდება ტუტოვანი რეზერვები — ნივთიერებანი, რომლებიც ანეიტრალებენ მუშაობის დროს კუნთებში წარმოქმნილ მჟავე პროდუქტებს. ამის შედეგად გაწვრთნილი სპორტსმენები გაცილებით ადვილად იტანენ დაშლის პროდუქტების რაოდენობის ზრდას სისხლში.

ზემოჩამოთვლილი ცვლილებების გარდა, წვრთნის გავლენით ხდება გულის ზრდა გულის კუნთის სისქის გადიდების ხარჯზე.

ამგვარად, სისტემატური ფიზიკური ვარჯიში გარდაქმნის, ცვლის სპორტსმენის მთელ ორგანიზმს, რის შედეგადაც ვიღებთ სპორტული შრომისუნარიანობის ამაღლებას, სისწრაფის, გამძლეობის, მოქნილობისა და ძალის ზრდას, რომლებიც შესაძლებელს ხდიან მიღწეულ იქნას მაღალი სპორტ-ტექნიკური შედეგები. ამასთან მუდამ უნდა გვახსოვდეს, რომ ორგანიზმში მიმდინარე ფიზიოლოგიური პროცესების ცვლილებებს საფუძვლად უდევს ცვლილებები ცენტრალური ნერვული სისტემისა, რომელიც აერთიანებს ყველა ფიზიოლოგიურ პროცესს.

მ. აზატიანი

ახლავე მივიღოთ ზომები

ძველი აბაშის მალენკოვის სახელობის კოლმეურნეობაში სათანადო ყურადღება ექცევა ახალგაზრდებში ფიზკულტურისა და სპორტის დანერგვას. აქ ფიზკულტურელთა ძალებით მოეწყო სპორტული ბაზები, შეიძინეს ინვენტარი, ნაყოფიერად მუშაობენ ფრენბურთის, ფეხბურთისა და სხვა სექციები. ძირეულმა ფიზკულტურულმა კოლექტივმა შარშან გადაჭარბებით შეასრულა ნიშნოსნებისა და თანრიგოსნების მომზადების გეგმები. მაგრამ ეს კოლმეურნეობა გამონაკლისია რაიონში. პირველი მაისის ლენინის სახელობის, სეფიეთის სტალინის, სამიქაოს მახარაძის, ზანათის ვოროშილოვის სახელობისა და სხვა კოლმეურნეობების ფიზკულტურულ კოლექტივებში მასობრივ-ფიზკულტურული მუშაობა ჩაშლილია, არ ზრუნავენ მარტივი ტიპის ბაზების მოწყობაზე, მტკიცე ფიზკულტურული კოლექტივის შექმნაზე.

რაიონის კოლმეურნე ახალგაზრდებში ფიზკულტურულ სპორტული მუშაობის ჩამორჩენა გამოწვეულია საკოლმეურნეო კომკავშირული და ფიზკულტურული ორგანიზაციების სუსტი მუშაობით და „კოლმეურნის" რაისაბჭოს (თავმჯდომარე მ. ჩიტია) უსისტემო ხელმძღვანელობის გამო.

მომავალი რესპუბლიკური სპარტაკიადა აბაშის რაიონის ძირეული კოლექტივების წინაშე მნიშვნელოვან ამოცანას აყენებს. საჭიროა რაიონის ხელმძღვანელობამ ამთავითვე მიიღოს გადამჭრელი ზომები და მომზადებული შეხვდნენ ამ მნიშვნელოვან ღონისძიებას.

ი. თოფურია

წერილების კვალდაკვალ

ჩვენი გაზეთის 16 მარტის ნომერში დაბეჭდილი იყო მამხილებელი წერილი, რომელშიც ნათქვამი იყო, რომ თბილისის გარეუბნის რაიონის სოფელ დიდი ლილოს საშუალო სკოლაში იანვრის შუა რიცხვებიდან არ ჰყავთ ფიზკულტურის მასწავლებელი, რის გამოც გაკვეთილები ცდება.

როგორც საქართველოს ალკკ გარეუბნის რაიკომის მდივანი გვატყობინებს, წერილში მოყვანილი ფაქტები დადასტურდა. მიმდინარე წლის 1 აპრილიდან დიდი ლილოს სკოლაში გაიგზავნა ფიზკულტურის მასწავლებელი.

საბჭოთა კავშირის XXIII ჩემპიონატი

◆

ზონალური ტურნირი

◆

მეშვიდე ტური

ოსტატი ებრალიძე შეუპოვრად იბრძოდა ძველინდური დაცვის წინააღმდეგ, რომელიც სარდაროვმა გაითამაშა. ოსტატმა შეძლო ლაზიერის ფრთაზე ხაზების გახსნა და ეტლით მოწინააღმდეგის ბანაკში შეჭრა. ამასთან ებრალიძემ, რომელმაც მატერიალური უპირატესობაც მოიპოვა, პარტიის ფინალი ენერგიულად ჩაატარა და გაიმარჯვა. ტოპროვერ-კასპარიანის პარტიაში თამაშმა დებიუტიდანვე დახურული ხასიათი მიიღო. კასპარიანი გეგმიანად ამზადებდა მეფის ფრთაზე პოზიციის გახსნას, მაგრამ ტოპროვერმა იჩქარა და ხელი შეუწყო ოსტატის ლაზიერისა და მხედრის შეჭრას თეთრი ფიგურების განლაგებაში. ხარისხის და შემდეგ პარტიის მოგებით, კასპარიანმა მეტოქეს ტურნირში პირველი დამარცხება მიაყენა. ჰალილბეილ-გოლდინის შეხვედრა ყაიმით დამთავრდა.

მშვიდად დაიწყო ტარასოვ-ამირხანოვის პარტია. დებიუტმა არც ერთ მხარეს არ მისცა უპირატესობა. შუა თამაშში ამირხანოვმა აქტიურად განალაგა ფიგურები და ძლიერი იერიშით დაემუქრა ტარასოვის მეფეს, რასაც ტარასოვმა ჯეროვანი ყურადღება არ მიაქცია. ამირხანოვმა კომბინაციით ჯერ დაამსხვრია თეთრების მეფის ფრთა, ხოლო შემდეგ მეფე დაფის შუაგულში გამოიყვანა და დაამათა.

დანარჩენი ხუთი პარტია არ დამთავრებულა. შიშოვსა და ლისტენგარტენს სარიჩევთან და თათევოსიანთან მოგების შანსები აქვთ. საყაიმო პოზიციაშია გადადებული კალაშიან-გურგენიძის შეხვედრა. რთული მდგომარეობაა გოგლიძე-რეგენბოგენის და გიორგაძე-ქარსელაძის პარტიებში.

მერვე ტური

სწრაფად დამთავრდა ქარსელაძე-გოგლიძის შეხვედრა. ორი მხედრის დებიუტში მეტოქეებმა გაცვალეს ფიგურები და გამარტივებულ პოზიციაში ყაიმზე შეთანხმდნენ. თუმცა აგრეთვე ყაიმით დამთავრდა კასპარიან-ებრალიძის და გოლდინ-შიშოვის პარტიებიც, მაგრამ აქ ეს მოხდა დაძაბული ბრძოლის შემდეგ.

თათევოსიანმა გურგენიძესთან პარტიაში გამოიყენა სკანდინავიური დაცვა, რომელიც სატურნირო პრაქტიკაში იშვიათად გვხვდება. გურგენიძემ შეუფერხებლად დაამთავრა რა ფიგურების განვითარება, შეუტია ლაზიერის ფრთას. ერევნელი მოჭადრაკე სუსტად იცავდა თავს. გურგენიძე შეიჭრა მოწინააღმდეგის პოზიციაში და ფიგურა მოიგო. 27-ე სვლაზე თათევოსიანი დანებდა.

ამირხანოვ-გიორგაძის შეხვედრაში ცენტრალური პაიკების გარშემო მწვავე ბრძოლა გაჩაღდა. გიორგაძემ ხარისხის შეწირვის შემდეგ შემტევი პოზიცია მიიღო. მაშინ, როცა მას უკვე მოგებული მდგომარეობა ჰქონდა, მოულოდნელად უხეში შეცდომა დაუშვა, წააგო ლაზიერი და დანებდა. ჰალილბეილიმ დებიუტში სარიჩევს პაიკი მოუგო. შემდგომ მან მოპოვებული უპირატესობა გამარჯვებამდე მიიყვანა. ტარასოვმა სძლია სარდაროვს.

ორი პარტია გადაიდო.

ამანათრბენი ქუთაისის ქუჩებში

ქუთაისის ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტმა საქალაქო გაზეთ „სტალინელის" რედაქციასთან ერთად მოაწყო ამანათრბენი გაზეთის გარდამავალ თასზე.

ამანათრბენის მარშრუტი შედგებოდა 19 ეტაპისაგან, რომლის საერთო სიგრძე 9,5 კილომეტრს უდრიდა. გამარჯვებული გამოვიდა ქუთაისის განათლების განყოფილების ვაჟთა და ქალთა გუნდები, რომლებმაც მეოთხედ მოიპოვეს საპატიო ჯილდო. მეორე ადგილი მიეკუთვნა პედინსტიტუტის, მესამე — „დინამოს" კოლექტივს.

გამარჯვებულ გუნდს გადაეცა თასი.

ი. ბუხაიძე

პირველი დამარცხება

თბილისის ოფიცერთა სახლის გუნდმა, რომელიც ლიდერია თავის ზონაში, ხუთ მატჩში საკუთარ კარში მიიღო მხოლოდ ერთი ბურთი. გარდა იმისა, რომ გუნდში კარგად თამაშობდა დაცვა, თავი გამოიჩინა მეკარე პ. ტიტოვმა. მან კარგად ჩაატარა ხუთივე შეხვედრა.

15 მაისს თბილისის ოფიცერთა სახლის გუნდმა „დინამოს" სტადიონზე მიიღო ბაქოს „ნეფტიანიკი". არმიელები მოედნიდან წავიდნენ დამარცხებული და ისიც დიდი ანგარიშით — 1:4. ამ წაგებაში მნიშვნელოვანი როლი ითამაშა მეკარე ტიტოვმა.

თამაშის დასაწყისშივე მან მკერდზე მიღების ნაცვლად თითებით აჰკრა ბაქოელი კუზნეცოვის (№ 9) მიერ შორიდან დარტყმულ ბურთს, თავს უკან გადააგდო იგი და როცა მობრუნდა, ბურთი უკვე კარში იყო — 1:0. ამ კურიოზის შემდეგ თამაში მეტად მაღალ, ცოცხალ ტემპში წარიმართა. პირველ ხანებში ბაქოელები დაბალი, გრძელი გადაცემებით სწრაფად გადიოდნენ არმიელთა მცველებს შორის, მაგრამ თბილისელებმა მალე შეძლეს მოწინააღმდეგის მანევრის ამოცნობა და დაკეტეს კარისკენ მისასვლელები.

მე-17 წუთზე „ნეფტიანიკის" მეკარემ სანაიამ დატოვა კარი და წინ გამოვიდა, მას დაასწრო პოდლესნიმ (№ 10) და კარში დაარტყა. ბურთი მოხვდა ძელს, გაგორდა ხაზზე და აქ მას მოუსწრეს მცველებმა. ცოტა ხანში თბილისელთა მარცხენა ნახევარმცველმა ავეტისოვმა შორიდან დაჰკიდა ბურთი ბაქოელთა საჯარიმო მოედანზე. აქ იგი ხელით გააჩერა მკრტიჩევმა (№ 4). 11-მეტრიანი საჯარიმო ზუსტად გამოიყენა ხუნდაძემ — 1:1.

ტაიმის დასასრულს იმავე კუზნეცოვმა დახლოებით 28 მეტრის მანძილიდან დარტყა საჯარიმო. ტიტოვმა გაუშვა მეორე იოლი ბურთი.

შესვენების დროს წამოვიდა წვიმა, დაბნელდა და თამაშის მეორე ნახევარი არანორმალურ პირობებში მიმდინარეობდა. სტადიონის პროჟექტორები სათანადოდ ვერ აშუქებდა მინდორს.

თამაშის შედეგი ფაქტიურად 55-ე წუთისათვის გადაწყდა. ბაქოელებმა თავიდანვე შეუტიეს. მალე აბილ-ზადემ (№ 11) მიიღო გადაცემა აბრამაშვილისაგან (№ 5) და მესამე ბურთი გაიტანა. იმავე წუთზე ტიტოვმა ხელიდან გაუშვა აღებული ბურთი, რომელიც ბორკინმა (№ 10) კარში გაგზავნა.

შემდგომში არმიელთათვის ძნელი აღმოჩნდა თამაშში გარდატეხის შეტანა, თუმცა დალაქიანს და, ნორაკიძეს შეეძლოთ ანგარიშის გაუმჯობესება. აღსანიშნავია, რომ პასიურად თამაშობდნენ ჩაიჩუკი და კოვერზნევი.

ლიდერმა განიცადა პირველი დამარცხება ანგარიშით 1:4.

რ. ქორიძე

გათამაშების ცხრილი

✪

„ა" კლასი

მდგომარეობა 18 მაისისათვის

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„დინამო" მ.	6	4	2	0	15:4	10
ცდსა	6	4	2	0	10:3	10
„ტორპედო"	6	3	3	0	9:5	9
„დინამო" თბ.	6	2	3	1	8:7	7
„შახტიორი"	6	1	4	1	8:7	6
„ზენიტი"	6	2	2	2	6:6	6
„სპარტაკი" მ.	6	2	2	2	5:7	6
„დინამო" კ.	6	1	3	2	7:9	5
„შრ. რეზერვები"	6	1	2	3	11:14	4
„კრ. სოვეტოვი"	6	1	2	3	6:14	4
„ლოკომოტივი"	6	0	3	3	5:10	3
„სპარტაკი" მნ.	6	0	2	4	6:10	2

„ა" კლასის ოსტატთა მატჩები

მოსკოვი. 15 მაისი. „დინამოს" სტადიონზე ერთმანეთს შეხვდნენ გათამაშების ლიდერები „დინამო" (მოსკოვი) — ცდსა (მოსკოვი).

მატჩი დამთავრდა ფრედ — 1 : 1.

სტალინო. 15 მაისი. ადგილობრივმა „შახტიორმა" თავის მოედანზე მიიღო მოსკოვის „ტორპედო".

შეხვედრის ანგარიშია 1 : 1.

კიევი. 15 მაისი. მინსკის „სპარტაკმა" მორიგი შეხვედრა ჩაატარა კიევში ადგილობრივი „დინამოს" წინააღმდეგ.

კიეველებმა მოიპოვეს პირველი გამარჯვება მიმდინარე სეზონში — 3 : 2.

„ზენიტი" (ლენინგრადი)—„დინამო" (თბილისი)

ლენინგრადი. (ტელეგრაფით ჩვენი სპეც. კორესპონდენტისაგან). 15 მაისს აქ გაიმართა საინტერესო მატჩი „ა" კლასის გუნდებს, ლენინგრადის „ზენიტსა" და თბილისის „დინამოს" შორის. მიუხედავად იმისა, რომ წვიმდა, ს. მ. კიროვის სახელობის სტადიონი სავსე იყო მაყურებლებით.

თამაშის დასაწყისში ლენინგრადელებმა სწრაფი ტემპი შესთავაზეს მოწინააღმდეგეს. მათი თავდამსხმელები სახიფათოდ გადიოდნენ დინამოელთა კართან, მაგრამ ვერ შეძლეს რამდენიმე ხელსაყრელი მდგომარეობის გამოყენება.

შემდგომში თბილისელებმა გაათანაბრეს თამაში და მალე ინიციატივა მათ ხელში გადავიდა. „ზენიტის" კარი ორჯერ აღმოჩნდა რეალური საშიშროების წინაშე. 41-ე წუთზე ლენინგრადელთა მხარეს დანიშნულ იქნა კუთხური საჯარიმო. თბილისელებმა გაითამაშეს სწრაფი კომბინაცია — ქ. გაგნიძე-კოტრიკაძე-ლოლობერიძე. ამ უკანასკნელმა თავით მიიღო ბურთი და ზუსტად გაგზავნა იგი ბადეში — 1 : 0.

მეორე ტაიმში ბრძოლა უაღრესად გამწვავდა. „ზენიტი" მთელი მონდომებით და ენერგიით ცდილობდა შეეცვალა ანგარიში, მაგრამ დინამოელთა დაცვა წარმატებით ებრძოდა მოწინააღმდეგის თავდასხმას თამაშის დასასრულამდე.

დაძაბული მატჩი დამთავრდა თბილისის „დინამოს" გამარჯვებით, ანგარიშით 1 : 0.

• • •

შესანიშნავად ჩაატარეს თამაში თბილისელთა დუბლიორებმა, რომელთაც დაამარცხეს „ზენიტი" დიდი ანგარიშით 5 : 2.

ვ. ფედოროვი

საქართველოს პირველობა

ფეხბურთში საქართველოს პირველობის მესამე ტურში მახარაძეში ერთმანეთს შეხვდნენ ადგილობრივი „კოლმეურნე" და თბილისის „ლოკომოტივი". პირველ ნახევარში მასპინძლებმა მოწინააღმდეგის კარში გაიტანეს ერთი ბურთი. შესვენების შემდეგ თამაში მეტად დაძაბულად მიმდინარეობდა, მაგრამ ანგარიში არ შეცვლილა. ეს მახარაძელთა მესამე გამარჯვებაა.

სტალინირში „სპარტაკმა" თავის მოედანზე მიიღო გორის „დინამო". გუნდებმა ერთმანეთის კარში გაიტანეს თითო ბურთი და მატჩი დამთავრდა ფრედ — 1:1.

ქუთაისის დინამოელებმა საკუთარ მოედანზე დიდი ანგარიშით მოუგეს ბორჯომის „პიშჩევიკს". 7 გატანილ ბურთზე სტუმრებმა შეძლეს მხოლოდ ერთით ეპასუხათ (7:1). „პიშჩევიკმა" აღნიშნული თამაში ჩაატარა მეტად სუსტად. უნდა აღინიშნოს, რომ „დინამოს" სტადიონის დირექციამ ვერ შეძლო წესრიგის დამყარება მაყურებელთა შორის. მსაჯი იძულებული იყო 2 წუთით გაეჩერებია თამაში.

ბათუმის „დინამო" თბილისში შეხვდა 26 კომ. სახ. რაიონის გუნდს. პირველი ტაიმი დამთავრდა სტუმრების სასარგებლოდ ანგარიშით 1:0. შესვენების შემდეგ ორივე კოლექტივმა გაიტანა თითო ბურთი და მატჩი დამთავრდა ბათუმის „დინამოს" გამარჯვებით — 2:1.

რუსთავის „მეტალურგმა" მორიგი მატჩი ჩაატარა ფოთში. თამაშის დამთავრებამდე 4 წუთით ადრე „მეტალურგის" მცველმა საკუთარ კარში გაიტანა ბურთი, რომელმაც გამარჯვება მოუტანა ფოთელებს.

ქობულეთში ერთმანეთს შეხვდნენ ადგილობრივი „კოლმეურნე" და „დინამო" (სოხუმი). პირველი ტაიმის ორმხრივ შეტევებს შედეგი არ მოჰყოლია. მეორე ტაიმში ქობულეთელები გააქტიურდნენ და მოიპოვეს დამაჯერებელი გამარჯვება ანგარიშით 3:0.

• • •

15 მაისს ჩატარდა I ტურის მატჩები მეორე ჯგუფში. მოგვყავს ტექნიკური შედეგები. **აღმოსავლეთ ზონა:** „სტროიტელი" (რუსთავი)-„კოლმეურნე" (გურჯაანი) — 2:1, „კოლმეურნე" (ადიგენი)-„ლოკომოტივი" (ხაშური) — 5:2, გურჯაანი (ნაკრები)-ყვარელი (ნაკრები) — 2:1, „კოლმეურნე" (წითელწყარო) - „სპარტაკი" (თელავი) — 2:3, ორთქლ. ვაგონშემკ. ქარხანა (თბილისი)-ქარელი (ნაკრები) — 3:0. **დასავლეთ ზონა:** ხობი (ნაკრები)-წულუკიძე (ნაკრები) — 1:0, „კოლმეურნე" (ლანჩხუთი)-გუდაუთა (ნაკრები) — 4:1, საჩხერე (ნაკრები)-„შახტიორი" (ტყიბული) — 0:0, ზესტაფონი (ნაკრები)-„ტორპედო" (ქუთაისი) — 4:3, „ლოკომოტივი" (სამტრედია)-„დინამო" (ზუგდიდი) — 1:3.

უნდა აღინიშნოს რომ თბილისის გუნდები არაწესიერი ფორმით გამოდიან როგორც საქართველოს პირველობაზე, ისე საქალაქო შეჯიბრებებში. მაგალითად, ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელი ქარხნის გუნდი 15 მაისს თამაშობდა უნომრო მაისურებით. ფიზკულტურის ინსტიტუტის გუნდის მოთამაშეები აგრეთვე თამაშობდნენ უნომრო მაისურებში და სხვადასხვა ფერის ტრუსებში. მსაჯები ამას რატომღაც არ აქცევენ ყურადღებას და არის შემთხვევები, როცა მოედანზე ერთდროულად თამაშობს ორი მოთამაშე ერთი და იგივე ნომრით.

22 მაისს იწყება გათამაშება **მესამე ჯგუფის** გუნდებს შორის. ამ დღეს ერთმანეთს ხვდებიან — **პირველ ზონაში:** სიღნაღი-ლაგოდეხი, მცხეთა-კაჭრეთი, თეთრი წყარო-თიანეთი, კასპი-„კოლმეურნე" (თელავი), გარდაბანი-საგარეჯო. **მეორე ზონაში:** ბოლნისი-ახალციხე, დუშეთი-ასპინძა, წალკა-დმანისი, მარნეული-ბოგდანოვკა. **მესამე ზონაში:** დიდი ჯიხაიში-მაიაკოვსკი, „კოლმეურნე" (საჩხერე)-„კოლმეურნე" (ბათუმის რაიონი), ამბროლაური-ონი, ჩოხატაური-„ლოკომოტივი" (ტყიბული), თერჯოლა-ცაგერი. **მეოთხე ზონაში:** ვანი-წყალტუბო, აბაშა-გალი, ჩხოროწყუ-გეგეჭკორი, წალენჯიხა-ჭიათურა.

გათამაშების ცხრილი

✪

პირველი ჯგუფი

მდგომარეობა 18 მაისისათვის

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„დინამო" ბათ.	3	3	0	0	5:1	6
„კოლმეურნე" მახ.	3	3	0	0	4:0	6
„დინამო" ქუთ.	3	2	0	1	8:3	4
ფოთი (ნაკრები)	3	1	2	0	3:2	4
ტ. ტ. ს.-ი თბ.	2	1	1	0	5:2	3
„დინამო" გორი	3	1	1	1	2:3	3
„დინამო" სოხ.	3	1	1	1	3:5	3
„კოლმეურნე" ქობ.	2	1	0	1	3:3	2
26 კომ. რ-ნი. თბ.	3	1	0	2	6:7	2
„პიშჩევიკი" ბორჯ.	3	1	0	2	3:9	2
„სპარტაკი" სტალ.	3	0	1	2	2:4	1
„მეტალურგი" რუსთ.	3	0	0	3	2:5	0
„ლოკომოტივი" თბ.	2	0	0	2	0:2	0

ლია რინგი

თბილისში, „სპარტაკის" ძალოსნობის დარბაზში მოეწყო მოკრივეთა შეჯიბრება ლია რინგზე. მონაწილეობა მიიღო 34-მა ნორჩმა სპორტსმენმა. ბრძოლებში ტექნიკისა და ტაქტიკის კარგი ცოდნა გამოამჟღავნეს გაბუნიამ, ნასოევმა, ფედოტოვმა და სხვებმა.

მსაჯთა კოლეგია შედგებოდა ახალგაზრდებისაგან. კარგად იმსაჯეს გ. რუხაძემ, ი. მელაძემ და ვ. სილაგაძემ.

ლ. ანდღულაძე,
შეჯიბრების მთავარი მსაჯი,
სპორტის ოსტატი.

ნორჩი მძლეოსნები

ამას წინათ „დინამოს" სტადიონზე ჩატარდა „ნორჩი დინამოელის" თბილისის კოლექტივების პირად-გუნდური შეჯიბრება მძლეოსნობაში, რომელშიც მონაწილეობდა ექვსი კოლექტივის 101 მოსწავლე.

საკავშირო საკლასიფიკაციო თანრიგების ნორმატივები შეასრულა 39-მა, მათ შორის II თანრიგი — 3-მა, III თანრიგი — 11-მა, მოზარდთა თანრიგი — 25-მა მოსწავლემ.

ორი დღის ასპარეზობის შედეგად გუნდური პირველი ადგილი 15,838 ქულით მოიპოვა 66-ე საშუალო სკოლის კოლექტივმა, მეორე ადგილზეა 43-ე საშუალო სკოლა.

აღსანიშნავია, რომ შეჯიბრებაში არ მონაწილეობდნენ ნახიმოვის სასწავლებლისა და ტოპოგრაფიული ტექნიკუმის კოლექტივები. აღნიშნულ დაწესებულებათა ხელმძღვანელებმა უპასუხისმგებლობა გამოიჩინეს ამ მნიშვნელოვან შეჯიბრებისადმი.

თ. სისორდია

• • •

სურათზე: ბირთვის კვრაში გამარჯვებული 43-ე სკოლის მოსწავლე ე. ათანელაშვილი. წრეში — ნ. ყიფიანი, რომელმაც ბადროს ტყორცნაში დაიკავა პირველი ადგილი.

ფოტო დ. ვარძელაშვილისა

რესპუბლიკურ კომიტეტში

პრესის დღის აღსანიშნავად რესპუბლიკურ გაზეთებში საქართველოს ფიზკულტურელთა ყოველდღიური ცხოვრების სათანადოდ გაშუქებისათვის საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულმა ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტმა სიგელებით დააჯილდოვა:

მ. ვ. კაკაბაძე — გაზეთ „ახალგაზრდა კომუნისტის" რედაქტორი;

ი. ნ. უგულავა — გაზეთ „ლელოს" რედაქტორი;

ზ. ბ. ჯაფარიძე — გაზეთ „ლელოს" პასუხისმგებელი მდივანი;

გ. აკოფოვი — გაზეთ „სოვეტსკი სპორტის" საკუთარი კორესპონდენტი საქართველოში.

ვ. გაბელია — გაზეთ „კომუნისტის" თანამშრომელი;

ქ. ნუშტაევი — საქართველოს რადიოკომიტეტის ინფორმატორი;

ა. დადიანი — საქდესის თანამშრომელი;

სკოლის ფიზკულტურელები

ბორჯომის რაიონის სოფელ ახალდაბის საშუალო სკოლაში შექმნილია ჭადრაკის, ფრენბურთის, ფეხბურთის, მძლეოსნობისა და სხვა სექციები. ამას წინათ მოეწყო სკოლის პირველობა ვაჟთა შორის ჭადრაკში. საპრიზო ადგილებზე გამოვიდნენ მეთერთმეტეკლასელები შ. ცერცვაძე, ლ. გალახვარიძე და ზ. ბლიაძე. ფრენბურთელთა სასკოლო პირველობაზე, რომელშიც 8 გუნდი მონაწილეობდა, გაიმარჯვა მე-11 კლასის გუნდმა.

ზ. ბლიაძე

უძლიერესთა შეხვედრის წინ

★

კრივში ევროპის პირველობის ისტორიიდან

★

27 მაისიდან 4 ივნისამდე დასავლეთ გერმანიაში „შპორტპალასტის" სპორტულ დარბაზში ჩატარდება ევროპის მორიგე, XIV ჩემპიონატი კრივში. ამ შეჯიბრებაში მონაწილეობისათვის განაცხადი უკვე წარმოდგენილია 26 ქვეყნის 217 მოკრივეზე. სრული გუნდებით (10 მოკრივე) შეჯიბრებაში მონაწილეობას მიიღებენ პოლონეთი, სსრ კავშირი, რუმინეთი, ბულგარეთი, ჩეხოსლოვაკია, უნგრეთი, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა, იტალია, დასავლეთ გერმანია, ფინეთი, იუგოსლავია, ინგლისი, თურქეთი, ავსტრია და საარის ოლქი. დანარჩენ გუნდებში წარმოდგენილი იქნება მოკრივეთა სხვადასხვა რაოდენობა — ეგვიპტის, ჰოლანდიისა და ლიუქსემბურგის გუნდებში — 8, ირლანდიისაში — 7, საფრანგეთის, ბელგიისა და შოტლანდიისაში — 6, შვეციის, ესპანეთისა და შვეიცარიისაში — 5 და ა. შ.

ევროპის ჩემპიონატი კრივში პირველად ჩატარდა 31 წლის წინ, 1924 წელს, პარიზში. მაშინ ჩემპიონობა წონითი კატეგორიების მიხედვით მოიპოვეს მაკენზიმ (დიდი ბრიტანეთი), ცესმა (საფრანგეთი), ვერეიკმა (ბელგია), ნილსენმა (დანია), დელარჟმა (ბელგია), მალინმა (დიდი ბრიტანეთი), მიტჩელმა (დიდი ბრიტანეთი) და ვან პორატმა (ნორვეგია).

მიღებულ იქნა გადაწყვეტილება ევროპის უძლიერეს მოკრივეთა ტურნირი ჩატარებულიყო ყოველწლიურად, მაგრამ ეს შესაძლებელი გახდა მხოლოდ ერთხელ — მეორე და მეოთხე ჩემპიონატებში. მეორე პირველობა მოეწყო სტოკჰოლმში 1925 წელს. ჩემპიონობა მოიპოვა სამმა შვედმა, ორ-ორმა ინგლისელმა და დანიელმა, ერთმა ფრანგმა.

მესამე ჩემპიონატი, რომელიც ბერლინში მოეწყო 1927 წელს, აღინიშნა გერმანელ მოკრივეთა წარმატებით. მათ ოთხ წონით კატეგორიაში მოიპოვეს ჩემპიონობა, ორში — შვედებმა, ხოლო თითოში — იტალიამ და ნორვეგიამ.

ევროპის უძლიერესი მოკრივეები მეოთხეჯერ ერთმანეთს შეხვდნენ 1928 წელს ამსტერდამში. სამი მედალი მოიპოვეს იტალიელებმა, თითო — უნგრელმა, ჰოლანდიელმა, ფრანგმა, შვედმა და გერმანელმა.

მომდევნო, მეხუთე ჩემპიონატი გაიმართა ბუდაპეშტში 1930 წელს. უნგრელთაგან ჩემპიონი გახდა სამი მოკრივე, ორ-ორი ოქროს მედალი დაისაკუთრეს იტალიელებმა და დანიელებმა, ხოლო ერთი — გერმანელმა.

1932 წელს, როცა უნდა ჩატარებულიყო მეექვსე პირველობა, ევროპის არც ერთმა სახელმწიფომ არ მოისურვა თავის თავზე აეღო ჩემპიონატის ორგანიზაცია და ამიტომ იგი ჩატარდა... ლოს-ანჯელოსში. პირველი ადგილები აქ განაწილდა შემდეგნაირად: გერმანია — 3, იტალია — 2, უნგრეთი, შვეცია, საფრანგეთი — თითო.

მეშვიდე ჩემპიონატი 1934 წელს მოეწყო ბუდაპეშტში. ოქროს მედლები აქ განაწილდა შემდეგნაირად: უნგრეთი — 2, ინგლისი — 2, იტალია, გერმანია, ავსტრია, ფინეთი — თითო.

დაწყებული 1937 წლიდან, როცა მილანში ჩატარდა ევროპის მერვე პირველობა, გარდა პირადი გათამაშებისა, დაწესდა გუნდური პირველობაც. გუნდური ჩემპიონობა პირველად მოიპოვეს პოლონეთის მოკრივეებმა. მომდევნო ადგილებზე გამოვიდნენ იტალიისა და უნგრეთის გუნდები. პირად ჩათვლაში ევროპის ჩემპიონი გახდა პოლონეთის, უნგრეთისა და გერმანიის ორ-ორი და იტალიისა და შვეციის თითო მოკრივე.

ევროპის ომისწინა უკანასკნელი პირველობა გათამაშდა 1939 წელს დუბლინში. ისევე, როგორც მილანში, პოლონელებმა აქაც ცხადყვეს თავისი უპირატესობა მოწინააღმდეგეებზე. იტალიელებმა კვლავ დაიკავეს მეორე ადგილი, ხოლო მესამეზე გამოვიდა ირლანდიის გუნდი. ჩემპიონები გახდნენ: ორ-ორი ირლანდიელი და იტალიელი, თითო — პოლონელი, გერმანელი, შვედი და ესტონელი.

8 წლის შესვენების შემდეგ, 1948 წელს, იმავე დუბლინში ჩატარდა ევროპის მეათე პირველობა. გუნდური პირველობა ამჯერად მოიპოვეს ფრანგმა სპორტსმენებმა, რომელთაც უკან ჩამოიტოვეს დიდი ბრიტანეთის მოკრივეები, მესამე ადგილი დაიკავა უნგრეთმა. პირადი ჩემპიონობა მოიპოვეს: მარტინეცმა (ესპანეთი), [illegible] (უნგრეთი), კრიუგერმა (შვეცია), [illegible] (ბელგია), როიანმა (დიდი ბრიტანეთი), ექსუდიემ (საფრანგეთი), [illegible] (ჰოლანდია) და კოლმენმა (ირლანდია).

16 სახელმწიფოს 96 მოკრივე შეიკრიბა ოსლოში, 1949 წლის ზაფხულში მე-11 პირველობაზე. დაძაბულ ბრძოლაში პირადი პირველობისათვის წარმატებას მიაღწიეს სახალხო დემოკრატიის ქვეყნებმა, რომელთაც საერთო ჯამში მოიპოვეს იმდენივე ოქროს მედალი (ოთხი), რამდენიც დანარჩენი 13 კაპიტალისტური სახელმწიფოს წარმომადგენლებმა. წონითი კატეგორიების მიხედვით ჩემპიონები გახდნენ: კასპერჩაკი (პოლონეთი), ზუდასი (იტალია), ბატაი (საფრანგეთი), კულიაგი (ირლანდია), ტორმა (ჩეხოსლოვაკია), პაპი (უნგრეთი), დისენი (იტალია), ბენე (უნგრეთი). გუნდურ ჩათვლაში ჩემპიონობა წილად ხვდა საფრანგეთის კოლექტივს, მეორე ადგილზე გამოვიდა უნგრეთის გუნდი.

მას შემდეგ გადაწყდა, რომ ევროპის პირველობა ჩატარდეს ორ წელიწადში ერთხელ, მაგრამ ისე რომ იგი არ დაემთხვეს ოლიმპიურ თამაშებს.

ამრიგად, მე-12 პირველობა მოეწყო მილანში 1951 წელს. მონაწილეთა რიცხვით ეს ჩემპიონატი სარეკორდო აღმოჩნდა. მასში მონაწილეობდა 132 მოკრივე. სახალხო დემოკრატიის ქვეყნებიდან მონაწილეობა მიიღეს მხოლოდ პოლონეთმა და უნგრეთმა და ისიც არასრული გუნდებით. ამ წელს პირველობა გათამაშდა 10 წონით კატეგორიაში. ჩემპიონობა მიეკუთვნათ: პოძალის (იტალია), დელ ოსოს (იტალია), ვანტაჟას (საფრანგეთი), ვიზინტინის (იტალია), შილინგს (დასავლეთ გერმანია), ხიხლას (პოლონეთი), პაპს (უნგრეთი), შელინს (შვეცია), ლიმოჟს (ბელგია), დესენტის (იტალია). გუნდური ადგილები განაწილდა შემდეგნაირად: იტალია, დასავლეთ გერმანია, უნგრეთი.

1953 წელს პოლონეთის დედაქალაქში მოეწყო უკანასკნელი, მე-13 ჩემპიონატი. მონაწილეთა შორის პირველად იყვნენ საბჭოთა კავშირის წარმომადგენლები. გუნდურ ჩათვლაში გამარჯვებული გამოვიდნენ პოლონეთის მოკრივეები. სსრ კავშირის გუნდმა დაიკავა მეორე ადგილი, დასავლეთ გერმანიამ — მესამე.

პირად ჩათვლაში საპრიზო ადგილები წონითი კატეგორიების მიხედვით განაწილდა შემდეგნაირად: **უმჩატესი წონა** — 1. კუკიერი (პოლონეთი), 2. მაიდლოხი (ჩეხოსლოვაკია), 3. ბულაკოვი (სსრკ). **მჩატე წონა** — 1. სტეფანიუკი (პოლონეთი), 2. სტეპანოვი (სსრკ), 3. მაკ ნეილი (ირლანდია). **ქვემსუბუქი წონა** — 1. კრუჟა (პოლონეთი), 2. ზასუხინი (სსრკ), 3. მელინგი (დას. გერმანია). **მსუბუქი წონა** — 1. ენგიბარიანი (სსრკ), 2. იუჰასი (უნგრეთი), 3. ანტკევიჩი (პოლონეთი). **პირველი ქვესაშუალო წონა** — 1. დრაგომი (პოლონეთი), 2. მილიგანი (ირლანდია), 3. ამბრუსი (რუმინეთი). **მეორე ქვესაშუალო წონა** — 1. ხიხლა (პოლონეთი), 2. შჩერბაკოვი (სსრკ), 3. ლინკა (რუმინეთი). **პირველი საშუალო წონა** — 1. უელსი (ინგლისი), 2. რეში (დას. გერმანია), 3. ტიშინი (სსრკ) (აღსანიშნავია რომ მეოთხედ ფინალში ტიშინმა დაამარცხა ორგზის ოლიმპიური და ევროპის ჩემპიონი უნგრელი ლასლო პაპი, მაგრამ შემდგომში წააგო გაცილებით სუსტ გერმანელ რეშთან). **მეორე საშუალო წონა** — 1. ვენჰოფერი (დას. გერმანია), 2. კოუტნი (ჩეხოსლოვაკია), 3. შელინი (შვეცია). **ქვემძიმე წონა** — 1. ნიტცკე (გდრ), 2. გჟელაკი (პოლონეთი), 3. ეგოროვი (სსრკ). **მძიმე წონა** — 1. შოციკასი (სსრკ), 2. ვენგჟინიაკი (პოლონეთი), 3. შაიბაუერი (დას. გერმანია).

წლევანდელი ჩემპიონატისათვის ევროპის მოკრივეები განსაკუთრებული სერიოზულობით ემზადებოდნენ, ვინაიდან მომავალი ჩემპიონატი წარმოადგენს გენერალურ რეპეტიციას XVI ოლიმპიური თამაშებისათვის.

გ. არტემიძე

«ეშმაკის მანქანა»

სპორტის ისტორიიდან

✪

— აქეთ, აქეთ. — მარცხნიდან შემოუარეთ, ბრძანებაა ცოცხლივ შევიპყროთ! — ყვიროდნენ პოლიციელები და ტრიალ მინდვრისკენ გარბოდნენ.

თბილისელი მოქალაქეები გაკვირვებით უცქეროდნენ პოლიციელთა ფაცი-ფუცს, არ იცოდნენ რა ხდებოდა.

— ალბათ ვინმე ყაჩაღს თუ იჭერენ, ხედავთ რამდენი პოლიციელია, ალყას არტყამენ. — იძახდა ერთი.

— არსენა ოძელაშვილს ხომ არ იჭერენ? მთელი ბატალიონი მოუყვანიათ. — აცხადებს მეორე. დაინტერესებული ხალხი პოლიციელებს ალყას მიჰყვა. წრე თანდათან ვიწროვდებოდა. სეირის მაყურებელნი და პოლიციელები, რაღაც ფრთებიან ყუთთან გაჩერდნენ. იქვე ახალგაზრდა ვაჟი იდგა და ხალისიანად იღიმებოდა. ალყას გამოეყო ახმახი პოლიციელი და ახალგაზრდას მიუახლოვდა.

— თქვენ დაპატიმრებული ხართ! — რიხიანად შესძახა მან.

— დაპატიმრებული? რატომ, რა დავაშავე? — მშვიდად უპასუხა ახალგაზრდამ.

— არ ვიცი, ასეთია ბრძანება.

— აა, ეს სხვა საქმეა.

— და ის, კიდევ რა. ეს „ეშმაკის მანქანაც" ჩამორთმეულია.

...ასე აეკრძალა გიმნაზიელ ა. ვ. შიუკოვს თბილისის მიდამოებში თვითნაკეთი პლანერით ფრენა. იგი მაშინ თბილისის გიმნაზიაში სწავლობდა და გატაცებით ეუფლებოდა საპლანერო საქმეს. ქალაქის მთაგორიანი მიდამოები მას საპლანერო ფრენის საშუალებას აძლევდა, ყოველ ასეთ შემთხვევას მრავალრიცხოვანი მაყურებელი აღფრთოვანებული ხვდებოდა.

პოლიციელებმა დაკავებული შიუკოვი გიმნაზიის დირექტორს მიჰგვარეს. მან ცივად შეხედა „თავხედ" ახალგაზრდას და მკვახედ მიახალა:

— ან გიმნაზია, ან ავიაცია, აირჩიე!

გიმნაზიელი იძულებული გახდა დროებით შეეწყვიტა საყვარელი საქმიანობა, მაგრამ რამდენიმე ხნის შემდეგ რევოლუციისა და თბილისელი გულშემატკივრების დახმარებით თბილისის მიდამოებში პლანერით ფრენის ნებართვა როგორც იყო აიღო. თბილისელ მოქალაქეთა ვაშას გრიალში ლურჯი ცის ფონზე ლივლივებდა, არწეოდა, ჰაერს ჰკვეთდა შიუკოვის თვითნაკეთი პლანერი.

ა. ვ. შიუკოვი საბჭოთა კავშირში საპლანერო საქმის ერთ-ერთი პირველი ენთუზიასტია და მის წამომწყებად ითვლება.

ა. კარბელი

ფესტივალი

დამთავრდა ვ. ი. ლენინის დაბადების 85 წლისთავისადმი მიძღვნილი თბილისის 26 კომისრის სახელობის რაიონის ახალგაზრდობის ფესტივალი.

სროლაში მოსწავლეთა შორის უძლიერესნი აღმოჩნდნენ 78-ე საშუალო სკოლის მსროლელები. შეჯიბრების ოცმა მონაწილემ შეასრულა მესამე და მოზარდთა თანრიგის ნორმები. 81-ე და 78-ე საშუალო სკოლების ფეხბურთელთა ფინალური შეხვედრა დამთავრდა უკანასკნელთა გამარჯვებით. ჭადრაკში წარმატება მოიპოვეს 77-ე სკოლის მოსწავლეებმა, მეორე ადგილზე გამოვიდა 91-ე საშუალო სკოლა. კალათბურთელთა ასპარეზობაში გაიმარჯვეს 78-ე საშუალო სკოლის ფიზკულტურელებმა.

პირველი ჯგუფის ფრენბურთელთა გუნდების შეხვედრაში გამარჯვება წილად ხვდა ტრამვაი-ტროლეიბუსის სამმართველოს მეორე რაიონის გუნდს. მეორე ქვეჯგუფში უძლიერესის სახელი მოიპოვა მარგარინის ქარხნის კოლექტივმა. ქალთა შორის სპორტის ამ სახეობაში გამარჯვებული გამოვიდნენ ფეხსაცმლის № 1 ფაბრიკის წარმომადგენლები, მეორე ადგილი წილად ხვდათ მარგარინის ქარხნის ფიზკულტურელებს. 100 მეტრზე რბენაში ჩემპიონის წოდება მოიპოვა 95-ე საშუალო სკოლის მოსწავლემ ო. კეროპიანმა.

ამხანაგთრბენში 4×100 მეტრზე მანძილი პირველმა დაფარეს 78-ე სკოლის მოსწავლეებმა, მეორე ადგილზე გამოვიდნენ რკინიგზის მე-9 საშუალო სკოლის მძლეოსნები. ქალთა შორის ეს სახელი მოიგეს 90-ე სკოლის მორბენლებმა.

• • •

სურათზე: ფესტივალის საზეიმო დახურვა. ქვევით — ფეხსაცმლის პირველი ფაბრიკის მუშა ა. გლატკახი 100 მეტრზე რბენის ფინიშთან.

ფოტო და ტექსტი **ი. გაბრიელიანისა.**

ყოველი მხრიდან

ფეხბურთი

ბერნი. აქ გაიმართა მატჩი ფეხბურთში შვეიცარიისა და ავსტრიის ეროვნულ ნაკრებ გუნდებს შორის. პირველი ტაიმი დამთავრდა შვეიცარიელთა გამარჯვებით — 2:1, მაგრამ მეორე ტაიმში მასპინძლებმა უპირატესობა ვერ შეინარჩუნეს და თამაში წააგეს ანგარიშით 2:3.

პრაღა. აქ ერთმანეთს შეხვდნენ ჩეხოსლოვაკიის გასული წლის ჩემპიონი „სპარტაკი" (პრაღა-სოკოლოვო) და „ოგნივო ბუტომი" (პოლონეთი). მატჩი დამთავრდა ფრედ — 1:1.

მილანი. იტალიის ჩემპიონატი ფეხბურთში დასასრულს უახლოვდება. ჩემპიონობის მთავარი პრეტენდენტია კლუბი „მილანი", რომელსაც აქვს 39 ქულა. 33 ქულა აქვთ „უდინესეს", „რომას" და „ბოლონიას".

ახალგაზრდული გუნდების ტურნირი

დამთავრდა ახალგაზრდული გუნდების საერთაშორისო ტურნირი ფეხბურთში. **პირველ ჯგუფში** გამარჯვებული გამოვიდა რუმინეთის გუნდი (5 ქულა). მომდევნო ადგილებზე არიან ავსტრიის, საფრანგეთისა და ბელგიის გუნდები. **მეორე ჯგუფში** დიდი უპირატესობით გაიმარჯვეს იტალიელებმა. დასავლეთ გერმანიის გუნდი გამოვიდა მეორე ადგილზე, ხოლო პორტუგალიისა — მესამეზე. **მესამე ჯგუფში** ქულათა თანაბარი რაოდენობა დააგროვეს ბულგარეთისა და ესპანეთის გუნდებმა, მაგრამ ვინაიდან ბულგარელებს ბურთების უკეთესი შეფარდება აღმოაჩნდათ, მათ მიეკუთვნათ პირველი ადგილი. ირლანდიის გუნდი გამოვიდა მესამე ადგილზე, პოლონეთისა — მეოთხეზე. **მეოთხე ჯგუფში** ყველას სძლიეს უნგრეთის ახალგაზრდა ფეხბურთელებმა. მომდევნო ადგილებზე გამოვიდნენ იუგოსლავია, თურქეთი და ლიუქსემბურგი. **მეხუთე ჯგუფში** წარმატება ხვდა წილად ჩეხოსლოვაკიის ძლიერ გუნდს. მეორე ადგილზე არიან ინგლისელები, მესამეზე — საარის გუნდი, მეოთხეზე — შვეიცარია.

ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციის გადაწყვეტილებით ფინალი არ იქნა გათამაშებული.

ჩეხვა, ისინდი, დოღი...

მუხნარის იპოდრომზე ჩატარდა ქუთაისის რაიონის პირველობა ცხენოსნობაში. პროგრამაში იყო ისინდი, ჩეხვა, ცხენბურთი, დაბრკოლებათა ზოლის გადალახვა, ამხანაგური და ორკილომეტრიანი დოღი.

დაბრკოლებათა ზოლის გადალახვაში პირველი ადგილი დაიკავა სოფელ გუმათის კოლმეურნეობის წევრმა ა. ავალიანმა, მანვე გაიმარჯვა ჩეხვაში. ორკილომეტრიან დოღში ყველას აჯობა გუმათჰესის მშენებლობის წარმომადგენელმა ვ. ჩისტიაკოვმა. მეორე ადგილზე გამოვიდა საყულიის კოლმეურნეობის წევრი ს. ლომიძე, მესამეზე — გევუთელი კოლმეურნე ა. კილაძე.

გ. კაკაურიძე

რედაქტორი **ი. უგულავა.**

გაზეთი გამოდის ოთხშაბათობით და კვირაობით. რედაქციის მისამართი: თბილისი, ელბაქიძის დაღმართი № 12. დეპეშებისათვის თბილისი, „ლელო".
ტელეფონები: რედაქტორისა — 3-89-62, პ. მგ. მდივნისა და განყოფილებების — 3-90-34, მორიგისა და გამომშვების — 3-38-25.

პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", თბილისი. ლენინის ქ. № 14.
უე 04202

ეროვნული ბიბლიოთეკა